



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N36

2023 წელი; 20 ოქტომბერი; 10:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- სერგო ზირვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ვალერი ჭილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
- გიორგი მარგებაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი;
- ქვარა ჩართოლანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს დირექტორის მოადგილე;
- ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- სოფიო დოლონაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ მაკარაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე



დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში



ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და გიორგი ირემამეს (პ/ნ 01024056416) შორის, 2019 წლის 18 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-451-10-23163 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქ. თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 315 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.331) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.041.160) შესყიდვის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



15. „ქ. თბილისში, კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 104 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.013.026) და 1 742 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.207) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.02.027.009) და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.529) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში არსებული 36.04 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
18. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
19. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4 / ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კორპუს N36-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.178.01.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



24. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.51002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
27. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში, მეორე სართულზე არსებული 53.98 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი;
29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი;
30. „ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
31. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
32. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.015) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ: 01007010358) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



33. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზაფრან 95“-ისთვის (ს/ნ: 400347521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

34. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტიკისთვის“ (ს/ნ: 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

35. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 0N1.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტიკისთვის“ (ს/ნ: 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

36. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნანა ფეტულავასთვის (პ/ნ: 01030028213) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

37. „ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მაღლაფერიძისთვის (პ/ნ: 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

38. „ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ: 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.093, ფართობი - 1 047 კვ.მ; N01.10.10.020.067, ფართობი - 2 753 კვ.მ; N01.10.10.020.131, ფართობი - 637 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.838, ფართობი - 3 252 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვალერი ჭილაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის პირველ საკითხად განსაზღვრული ღონისძიება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე - გოგი ჩიქოვანის დანიშვნის საკითხი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი კანდიდატურა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, გამოცდილებით, დადებითი პიროვნული თვისებებითა და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, ასევე, აკმაყოფილებს თანამდებობრივი პოზიციისათვის აუცილებელ, სხვა საჭირო კრიტერიუმებს, მათ შორის, მიღებული განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ წარმატება უსურვა წარმოდგენილ კანდიდატურას და მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის ტექნიკური თვალსაზრისით გამართვა, მე-2 პუნქტის ნაწილში.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს

2. ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსმა - გიორგი მარგებაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის მე-2 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) მიერ გასაწევ/გაწეულ ანაზღაურებად მომსახურებებს შორის, ერთ-ერთ სახედ - „პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურების“ განსაზღვრას, დღგ-ს ჩათვლით (ლარი), ერთი დღის მომსახურების საფასურის - 1,350.00 (ათას სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

როგორც გიორგი მარგებაძემ აღნიშნა, აღნიშნული მომსახურების დამატების გათვალისწინებით, დადგენილებით განსაზღვრულ წესებს ემატება - „პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები“, დანართი N12-ის სახით, რომლის თანახმადაც, პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურება, დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, მისი შესყიდვის შემთხვევაში, მოახდინოს პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების ინტეგრირება საკუთარ სისტემაში. მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, დადგენილების მოქმედ რედაქციაში, ასევე ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:



- დანართი N1-ის სახით დამტკიცებული „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემის მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობების და მათი გაანგარიშების წესი“-ს ნაწილში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ A პაკეტთან ერთად, დამატებით, B პაკეტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე სისტემით მომსახურების მიღებაზე სურვილის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე საფასურის დაანგარიშებაზე „მაგალითი“-ს ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას;
- დანართი N1-ის სახით დამტკიცებულ წესში, ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემის მომსახურების პირობების ნაწილში, ელექტრონული მმართველობის მომსახურების მიღებაზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და სააგენტოს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვადის დაზუსტდება;
- დანართი N2-ის ნაწილში, „ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) კონსულტაციის (მათ შორის, ინფრასტრუქტურის სფეროში) მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები“ ნაწილში - მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების დროის დაზუსტება;
- მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების დროის ნაწილში, სათანადო დანართებში ზუსტდება ჩანაწერი, რომ აღნიშნული შესაძლებელია „ყოველთვიურად“ და არა - მომსახურების გაწევის შემდგომ;

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილებასთან დაკავშირებული მე-2 დადგენილების პროექტი წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის სერგო ბირკაძეს მიერ, რომლის განმარტებით, ცვლილების თაობაზე მე-2 დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, მოქმედი დადგენილებით განსაზღვრულ მომსახურებებში ახალი მომსახურების - მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება“ დამატებას და შესაბამისი წესის დამტკიცებას.

სერგო ბირკაძემ დამაზუსტებლად აღნიშნა, რომ ახალი მომსახურების წესის პროექტი განსაზღვრავს პერსონალური კონსულტანტის ინსტიტუტს, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლები (პერსონალურ კონსულტანტებად განსაზღვრული კონკრეტული პირები). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევენ დაინტერესებულ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, ხოლო, მომსახურების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 3 (სამი) თვით ქვემოთ მოცემული თანხის შესაბამისად:

- ა) 6000 (ექვსი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება 1 ჰექტარს;
- ბ) 12000 (თორმეტი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 1 ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება 5 ჰექტარს;
- გ) 30000 (ოცდაათი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 5 ჰექტარზე.



სერგო ბირკაძემ ასევე დასძინა, რომ პერსონალური კონსულტანტის მომსახურება მოიცავს, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის, კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას, აგრეთვე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის განხილვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ხარვეზის/მოთხოვნის განმარტებას.

მომხსენებლისგე მითითებით, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 1 თებერვალი, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, ხოლო, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა თავდაპირველად წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე, ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი, ორი დადგენილების პროექტის გაერთიანება და აღნიშნული სახით, საკრებულოს მიერ, უახლოეს სხდომაზე განხილვა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის/მოსაზრების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაქარებული მომსახურების გაწევის წესის, მასზე დაწესებული საფასურის (შემდგომში – საფასური) განაკვეთების გადახდის წესისა და პირობების განსაზღვრას.

სერგო ბირკაძემ დამაზუსტებლად აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ გაწეული დაქარებული მომსახურებისთვის, პროექტით განსაზღვრული საფასური, წარმოადგენს სავალდებულო გადასახდელს, რომელიც მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ



და არაპირდაპირ ხარჯს და მისი გადახდისაგან თავისუფლდებიან საჯარო დაწესებულებები, გარდა მათი დაფუძნებული იურიდიული პირებისა, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შესაძლებელია ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციების გათავისუფლება ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

სერგო ბირკაძემ ასევე მიუთითა, რომ დადგენილების პროექტის მე-5 მუხლით წარმოდგენილია დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადები და საფასურის განაკვეთები, ამავე მუხლით განსაზღვრული, სათანადო ოდენობებითა და შესაბამის ვადებში, ამასთან, საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი ამოქმედდება 2023 წლის 1 დეკემბრიდან, მისი მიღება კი არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

საკითხის წარმომდგენმა დააზუსტა პროექტის შინაარსი, დადგენილების პროექტიდან განაშენიანების რეგულირების გეგმისა და გეგმარებითი დავალების განხილვის დაჩქარებული მომსახურების ამოღების თვალსაზრისით, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული მოსაზრების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს დირექტორის მოადგილემ - ქვარა ჩართოლანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებულ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში“ ცვლილების შეტანას, რაც მისივე მითითებით, განპირობებულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე, გამოკვეთილი, შემაფერხებელი, გარემოებებით.



მომხსენებლის მითითებით, პროექტი, დადგენილების მოქმედ რედაქციაში ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- დაინტერესებული პირების თანხმობა არ იქნება მიჩნეული არასრულად, თუ მას არ ახლავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის - პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარედ აღრიცხული იმ პირის წერილობითი ნება, რომელიც არაიდენტიფიცირებადი სუბიექტია. მითითებულ შემთხვევაში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას არაიდენტიფიცირებადი სუბიექტის ინტერესები ახალ აშენებულ შენობაში შესაბამისი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის გზით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობა, როგორც პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარე, უფლებამოსილია არაიდენტიფიცირებადი სუბიექტის სასარგებლოდ განახორციელოს საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

- გარდა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების არარსებობისა, ამ წესის მიზნებისთვის, სუბიექტი არაიდენტიფიცირებადად მიიჩნევა, თუ მისი ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ცხოვრების ფაქტი ვერ დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობისა და სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ასევე შესაბამისი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ შედგენილი კრების ოქმით;

- ავარიულ სახლში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ტექნიკური აღრიცხვის არქივში საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარედ აღრიცხული პირის გარდაცვალებისას, კანონით დადგენილი წესით სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე, დასაშვებია სამკვიდროს მმართველმა გამოხატოს ნება ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ქვარა ჩართოლანის განმარტებით, იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ხდება საკუთრების უფლების რეგისტრაციას დაქვემდებარებული ფართების პოტენციური მესაკუთრეების იდენტიფიცირება, აუცილებელია, ასეთ პირთა მესაკუთრეობრივი უფლებების დაცვისკენ მიმართული სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების შემოღებაც, ხოლო, შემუშავებული პროექტით, მუნიციპალიტეტი დაიცავს არაიდენტიფიცირებადი სუბიექტის ინტერესებს ახალ აშენებულ შენობაში შესაბამისი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის გზით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობა, როგორც პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარე, უფლებამოსილი იქნება ასეთი პირის სასარგებლოდ განახორციელოს საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რითაც ასევე, დაუბრკოლებლად განხორციელდება სათანადო პროექტი. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ მითითებულ საკითხთან მიმართებით, არაიდენტიფიცირებად სუბიექტად მიჩნევისთვის, გარდა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების არარსებობისა, კუმულაციურად უნდა არსებობდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობის, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და შესაბამისი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ გაცემული ავარიულ საცხოვრებელ სახლში ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია.



როგორც ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილაგამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების დანართი N-ის სახით დამტკიცებულ წესში, იმგვარი ცვლილების შეტანას, რითაც, „გუნდების/კლუბების ფუნქციონირების ადგილი“ ჩანაცვლება - „საქართველოს ჩემპიონატებში ქალაქ თბილისის სახელით მონაწილეობით“, აღნიშნული ჩანაწერით, კი, გარკვეულწილად უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევათა თავიდან აცილება, როდესაც - გუნდი/კლუბი ფუნქციონირებს ქალაქ თბილისში, თუმცა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ან საქართველოს ჩემპიონატში არ მონაწილეობს ქალაქ თბილისის სახელით, აგრეთვე, შესაძლებელი გახდება იმ გუნდების/კლუბების დაჯილდოება, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ან საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობენ ქალაქ თბილისის სახელით, მათი ადგილსამყოფელია (იურიდიული მისამართი) ქალაქი თბილისი, თუმცა ფუნქციონირების ადგილი საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, ასევე, ზეგავლენას - ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-6 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის



საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში იმგვარი ცვლილების შეტანას, რითაც, სააგენტოს მიერ, მისთვის, ამ დადგენილებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით, მიღებული მონაცემებს გასცემს, სათანადო სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე - მომსახურების საფასურის, თვეში 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს სათანადო მუხლებით/ნაწილებით გათვალისწინებული, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების გაცემასთან დაკავშირებით, სააგენტოში შევიდა სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრის“ მიმართებით, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, გაიმართა შეხვედრები სააგენტოს, სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრის“, სს „საქართველოს ბანკის“, სს „თი ბი სი ბანკის“, სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებს შორის, რითაც შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი ცვლილება, ზემომითითებული სამართლებრივი ღონისძიების განსაზღვრის მიზნით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც განპირობებულ იქნა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხით და წარმოადგენს, სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით მოქმედ ნორმატიულ აქტებში ცვლილებათა განხორციელების სამართლებრივი პაკეტის შემადგენელ ნაწილს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხის წარმოდგენისას, როგორც უკვე ისაუბრა მომხსენებელმა, განისაზღვრება სააგენტოს მიერ მისთვის სათანადო დადგენილებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გადაცემა - თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე მომსახურების საფასურის თვეში - 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში, მისივე მითითებით, მე-7 საკითხად განსაზღვრული პროექტი კი ითვალისწინებს, ცვლილებების შეტანას ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში, იმგვარად, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელება განისაზღვრება - როგორც სააგენტოს ერთი-ერთი უფლებამოსილება.

ვასილ აბულაძემ ასევე დასძინა, რომ პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, შემდეგი წინაპირობის გათვალისწინებით:

- განხორციელებული სამართლებრივი ცვლილებების შემდგომ, ნაცვლად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა“ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს სათანადო მუხლებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - ჯარიმის გამოწერის უფლებამოსილების მქონე პირად, ერთპიროვნულად განისაზღვრა - სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ამასთან, პარკირების სფეროს მართვის განსახორციელებლად გარკვეული ღონისძიებების გატარების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების მიხედვით, 2023 წლის პირველი აგვისტოდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაევალოს მის მიერ პარკირების სფეროს მართვის სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის (როგორც დროის მონაკვეთის, ისე ზონის მიხედვით) ჩარიცხვა 2023 წლის პირველი აგვისტოდან ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სახაზინო კოდეზე, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას საკუთარ თავთან და საკუთარ ანგარიშზე ვერ ჩარიცხავს სათანადო თანხას, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები გათავისუფლდება დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურების გადახდისგან.



მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ მაკარაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული დებულებით, ვინაიდან, მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა, ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებს მიეკუთვნება, შესაბამისად, პარკებსა და სკვერებში, სხვადასხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ, ღონისძიებების გამართვის თაობაზე წინასწარ წერილობით გაფრთხილებას იღებს და რეაგირებას ახორციელებს ფაქტობრივად აღნიშნული სამსახური მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მითითებული ფუნქციის სამართლებრივად მოწესრიგება შემდეგი სახით:

- სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მოვლა-პატრონობაში არსებულ პარკებსა და სკვერებში ღონისძიების გამართვის თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და რეაგირება.
- მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების უშუალო ფუნქციად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მოვლა-პატრონობაში არსებულ პარკებსა და სკვერებში ღონისძიების გამართვის თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და რეაგირება.

მარიამმა ასევე დაამატა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების მიმართ არსებულ შენიშვნაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.



გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, შემდეგი წინაპირობის გათვალისწინებით:

- განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების შედეგად, სათანადო ცვლილებები შევიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და განისაზღვრა სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან მუნიციპალურ ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი და ბე-ს ოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად: ბეს ოდენობა უნდა შეადგენდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნარჩენის სავარაუდო ჯამური ოდენობის ღირებულების არანაკლებ 20%-ს და არაუმეტეს 80%-ს. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბოლო ეტაპის შესაბამის გადახდაში;
- ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადებისას გამოიყენება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილების მიხედვით, აუქციონში მონაწილეები ბეს იხდიან აუქციონატორის ანგარიშზე, რომელიც განისაზღვრება აუქციონის ორგანიზების, ჩატარებისა და შედეგების გაფორმებისათვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილების მიხედვით, სააგენტო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული



პირი და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირი) აუქციონს ატარებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისთვის – მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულების შესაბამისად და აუქციონის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თითოეული ლოტის საწყისი ღირებულების (ბიჯის გარეშე) 5%-ით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მითითებული ნორმები არ იყოს ბუნდოვანი და ნათლად ჩანდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის განკარგვის მიზნით, №19-72 დადგენილების 7¹ მუხლით გათვალისწინებული წესით აუქციონის გამოცხადებისას, მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი პროექტის შემუშავება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესის რეგულირების ნაწილში, შემდეგი დამაზუსტებელი ცვლილების განხორციელება დადგენილების მოქმედ რედაქციაში:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადებისას გამოიყენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესი.

2. ზემომითითებული წესით აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, აუქციონში მონაწილეები ბეს იხდიან აუქციონატორის ანგარიშზე, რომელიც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ხოლო აუქციონის ორგანიზების, ჩატარების და შედეგების გაფორმებისთვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განმსაზღვრელი წესით, ამასთან, აუქციონატორი უფლებამოსილია აუქციონის ჩატარებისთანავე გამარჯვებულის მიერ ბეს სახით გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება აუქციონატორის მომსახურების საფასურს, განკარგოს შეხედულებისამებრ.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და იანივ მოშეს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით განკარგულ 165 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და 59 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“ გაუქმებასა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ემ. სი აი. პროექტს“ შორის, 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით განკარგულ 104 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“ გაუქმების საკითხების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

სოფიო დოლონაძემ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული, ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და იანივ მოშეს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბააზოვის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 165 კვ.მ. და 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთები, იმ პირობებით, რომ ქონებები განიკარგებოდა შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ და „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“, გარდა აღნიშნულისა, მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ემ. სი აი. პროექტს“ შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბააზოვის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 104 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის განკარგვა ასევე განხორციელდა სააუქციონო პირობებით:

- შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“
- „მშენებლობის უფლების გარეშე“;

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანებისა და ერთიან საკადასტრო ერთეულად ჩამოყალიბების შემდგომ, უძრავი ქონების მესაკუთრემ, განცხადებით მიმართა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, აუქციონის პირობების (165 კვ.მ და 59 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე - „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“ და 104 კვ.მ მიწის ნაკვეთზე - „მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმების თხოვნით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთზე არსებული აუქციონის პირობის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ გაუქმება, ამასთან,



საკადასტრო ერთეულოზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ინფორმაციით, სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია.

მომხსენებელმა ასევე ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსადმი წარდგენილი თხოვნის პასუხად, რაც ითვალისწინებდა დასკვნის მომზადებას, აუქციონის წესით განკარგული მიწის ნაკვეთების სრულ საპრივატიზებო ღირებულებებსა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთებზე აუქციონის პირობების გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემულს დღევანდელი მდგომარეობით, სათანადო მონაცემები ვერ იქნა დადგენილი, თუმცა, განმეორებითი მიმართვის გზით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 13 ივლისის დასკვნის შესაბამისად:

- 165 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობის - „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“-გათვალისწინების გარეშე (384 120 ლარი) და პირობის - „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“ - გათვალისწინებით (268 950 ლარი) არსებულ ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს - 115 170 (ას თხუთმეტი ათას ას სამოცდაათ) ლარს;
- 59 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობის - „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“-გათვალისწინების გარეშე (137 352 ლარი) და პირობის - „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“ - გათვალისწინებით (96 170 ლარი) არსებულ ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს - 41 182 (ორმოცდა ერთი ათას ას ოთხმოცდაორი) ლარს;
- 104 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ გათვალისწინების გარეშე (242 112 ლარი) და პირობის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ - გათვალისწინებით (169 520 ლარი) არსებულ ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს - 72 592 (სამოცდათორმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, მყიდველმა განაცხადა თანხმობა, აუქციონის პირობების: „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“ და „მშენებლობის უფლების გარეშე“ გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 13 ივლისის დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პირობების გაუქმება, იმ პირობით, რომ სათანადო განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 13 ივლისის დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, ჯამურად - 228 944 (ორას ოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.



აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულას მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-12 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს აცნობა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი და აღნიშნა, რომ:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (შემდგომში - მყიდველი) შორის გაფორმებული 2015 წლის 13 მაისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა, ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შემდეგი პირობებით - „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“, ხოლო, აღნიშნული საკადასტრო ერთეულის ორ მიწის ნაკვეთთან გაერთიანებისა და ერთ საკადასტრო ერთეულად ჩამოყალიბების შემდგომ, მასზე გავრცელდა აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

- სააგენტოსა და მყიდველს შორის, ასევე, გაფორმდა 2016 წლის 17 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რის საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და „კეთილმოწყობის პირობით“, რაც ასევე გაერთიანდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთთან და სხვა დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთთან, ხოლო, ერთიანი საკადასტრო ერთეულის ჩამოყალიბებით, მიწის ნაკვეთებზე გავრცელებული აუქციონის პირობების გავრცელების შემდგომ, მყიდველმა მათი გაუქმების თხოვნით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს.

მომხსენებლის მითითებით, მყიდველის თხოვნასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, შესაძლებლად იქნა მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობების გაუქმება, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 23 დეკემბრის დასკვნის შესაბამისად:

- აუქციონის წესით, თავდაპირველად განკარგული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (385 009 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (1 295 946 ლარი) შორის სხვაობის (910 937 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 2 856 481 ლარი;

- მე-2 ეტაპზე განკარგული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 450 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „კეთილმოწყობის პირობით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (279 363 ლარი) შორის სხვაობის (206 913 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 573 034 ლარი.

სოფიო დოლონაძის მითითებით, მყიდველის მიერ წარდგენილი ინფორმაციით, ერთ-ერთი განკარგული მიწის ნაკვეთის ქვეშ გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები (წყალარინების 1500მმ-იანი დიამეტრის და 1200 მმ-იანი დიამეტრის კოლექტორები და 200 მმ-იანი დიამეტრის წყალსადენის ქსელი), ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებული კანალიზაციის ცენტრალური კოლექტორი (1000 მმ-იანი დიამეტრით). შესაბამისად, მყიდველმა ითხოვა განმეორებითი ექსპერტიზა ზემოაღნიშნული გარემოებების, მიწის ნაკვეთის ნივთობრივი ნაკლისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაცია, ასევე წარედგინა, ექსპერტიზის ბიუროს - მიწის ნაკვეთების შესაბამის სრულ საპრივატიზებო საფასურებსა და აუქციონის დროისათვის, ამავე მიწის ნაკვეთებზე შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენის თხოვნით, მიწის ნაკვეთებზე განკარგვამდე და მის შემდგომ არსებული ფუნქციური ზონების გათვალისწინებით, რაზეც, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, აღნიშნულისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 11 მაისის კორესპონდენციის გათვალისწინებით, 2023 წლის 23 მაისის დასკვნის შესაბამისად, დაადგინა:

- აუქციონზე თავდაპირველად შეძენილი უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (385 009 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (671 040 ლარი) შორის სხვაობის (286 031 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 954 402 (ცხრაას ორმოცდათოთხმეტი ათას ოთხას ორი) ლარი;

- აუქციონზე შემდგომში შეძენილი უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 450 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „კეთილმოწყობის პირობით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (279 363 ლარი) შორის სხვაობის (206 913 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 609 755 (ექვსას ცხრა ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.



მომხსენებელმა განმარტა, რომ მყიდველმა განაცხადა თანხმობა, არსებული პირობების გაუქმების შემთხვევაში, დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2023 წლის 14 ივნისის განკარგულებით, მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარედგინა მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობების გაუქმების წინადადება, თუმცა, საკითხზე, საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ, ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 23 მაისის დასკვნაში მითითებული ფასთა შორის სხვაობის დადგენისას არ იყო გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ფუნქციურ ზონათა ცვლილების საკითხი, შესაბამისად, ექსპერტიზის ბიუროსადმი ორგზის მიმართვის შემდგომ, 2023 წლის 20 სექტემბრის დასკვნის შესაბამისად, დაადგენილ იქნა შემდეგი:

- აუქციონის გზით, თავდაპირველად განკარგული მიწის ნაკვეთის სსზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე და დადგენილ ღირებულებასა (2 650 608 ლარი) და აღნიშნული მიწის ნაკვეთის სზ, ტზ-1, სსზ-1-ის და რზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობით „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და დადგენილ ღირებულებას (729 756 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 1 920 852 (ერთი მილიონ ცხრაას ოცი ათას რვაას ორმოცდათორმეტი) ლარს;

- შემდგომში განკარგული მიწის ნაკვეთის სსზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე და დადგენილ ღირებულებასა (692 007 ლარი) და აღნიშნული მიწის ნაკვეთის სზ და ტზ-1-ის გათვალისწინებით და შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობით „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და დადგენილ ღირებულებას (188 250 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 503 757 (ხუთას სამი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.

მომხსენებლის მითითებით, მყიდველმა განაცხადა თანხმობა, განკარგულ მიწის ნაკვეთებზე შეზღუდვების - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გაუქმების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე, ხოლო, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა - აუქციონის წესით განკარგულ მიწის ნაკვეთებზე პირობები - „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“ და „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“, გაუქმების საკითხი, იმ პირობით, რომ სათანადო განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 სექტემბრის სათანადო დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, ჯამში 2 424 609 (ორი მილიონ ოთხას ოცდაოთხი ათას ექვსას ცხრა) ლარს.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულას მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-13 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, შემდეგ საკითხზე: ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში არსებული 315 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე პრივატიზებაზე, კახა ხაბულიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში არსებული 315 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, სათანადო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებული პირის წარმომდგენელმა განცხადებით მიმართა, ქალაქ თბილისის მერს, ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში, კახა ხაბულიანის საკუთრებაში არსებული 315 კვ. მ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის თხოვნით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი ღირებულების (315 კვ.მ.) მიწის ნაკვეთში, აქვე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კახა ხაბულიანის სასარგებლოდ, სათანადო მიწის ნაკვეთზე 2018 წლის 25 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი სანიაღვრე კოლექტორის დემონტაჟი და აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება სანიაღვრე ქსელისაგან.

მომხსენებლისგან განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციით, 2018 წელს შპს "ნიუ ქონსტრაქშენს ტექნოლოჯთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოეწყო სანიაღვრე კოლექტორი პროექტის მიხედვით, რომლის ნაწილმაც გაიარა სერვიტუტით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული ქსელის დემონტაჟთან დაკავშირებით განიმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის ალტერნატიული შესაძლებლობა, რათა მოხდეს სანიაღვრე ქსელის გადალაგება, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კი მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთიდან მოთხოვნილი 315 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამომიჯვნა და დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ქალაქი თბილისი, საინგილოს ჩიხი, №5-ში მდებარე 315 კვ. მ. მიწის ნაკვეთი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 18 ივლისის დასკვნით, კახა ხაბულიანის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 17 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 162 225 (ას სამოცდაორი ათას ორას ოცდახუთი) ლარის ოდენობით, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 162 225 (ას სამოცდაორი ათას ორას



ოცდახუთი) ლარის ოდენობით, ამასთან, საგულისხმოა, რომ მესაკუთრე თანხმობას აცხადებს ადგილმონაცვლეობაზე და ადასტურებს, რომ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, აღსრულებულად ჩაითვლება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/4863-20, შესაბამისად, უარს განაცხადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე უძრავ ქონებასთან მიმართებაში.

სოფიო დოლონაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ვინაიდან, ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხში მოწყობილი სანიაღვრე ქსელის შენარჩუნება მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია კახა ხაბულიანის თხოვნის დაკმაყოფილება მითითებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით და მისაღებად მიიჩნია წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები, ხოლო, ვინაიდან განმცხადებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულების მტოლფასია საკითხი საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკურ-სტილისტური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-14 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესყიდვის საკითხზე, ნასყიდობის საფასურით 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, სათანადო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, ამასთან, ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე:

▪ 2021 წლის 11 ოქტომბერს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა, მანანა სოზიაშვილის წარმომადგენლის განცხადება, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, განმარტებულ იქნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მანანა სოზიაშვილის მიმართ, ვინაიდან, 2012 წლის 27 აპრილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N4-13 გადაწყვეტილებით მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატრანსპორტო ზონა, ხოლო, ზიანის



ოდენობა დადგინდა შპს „ბიზნეს აუდიტ“-ის 2016 წლის 12 თებერვლის დასკვნის საფუძველზე. სატრანსპორტო ზონით დაფარულმა ნაწილმა, შეადგინა - 380 კვ.მ, ხოლო თანხა განისაზღვრა - 46 419, 66 (ორმოცდაექვსი ათას ოთხას ცხრამეტი ლარი და 66 თეთრი) ლარის ოდენობით;

- საჯარო და კერძო ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით განხორციელდა ზემომითითებული თანხის გადახდა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მანანა სოზიაშვილის სასარგებლოდ, ხოლო, შემდგომ, მანანა სოზიაშვილმა უზრუნველყო მიწის ნაკვეთიდან სატრანსპორტო ზონაში მოქცეული 381 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოძიჯვნა და დამოუკიდებელ საკადასტრო კოდად რეგისტრაცია.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობა აღნიშნული პერიოდისათვის განიხილავდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიდოში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხს, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ასევე მოიცავდა დამოუკიდებელ საკადასტრო კოდად რეგისტრირებულ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთს, ამასთან, რამდენჯერმე შედგა აუდიენცია მანანა სოზიაშვილსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს შორის, რომლის დროსაც მანანა სოზიაშვილმა გამოხატა მზაობა მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოსყიდვის თაობაზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასურველია მისი საავტომობილო გზის ფუნქციით განვითარება, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 1 მარტის წერილით მანანა სოზიაშვილს ეცნობა მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოსყიდვის მზაობის თაობაზე, ამასთან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 26 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რასთან დაკავშირებითაც, მესაკუთრემ განაცხადა მზაობა უძრავი ქონების გამოსყიდვის საფასურად განისაზღვროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად დადგენილი 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების შესყიდვა და შესყიდვის თანხად ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად დადგენილი 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის განსაზღვრა, რომლის გადახდა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სოფიო დოლონამემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს აგრეთვე გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს 1 104 კვ.მ. და ამავე მისამართზე არსებული 1 742 კვ.მ. მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 324 270 (სამას ოცდაოთხი ათას ორას სამოცდაათი) ლარის ოდენობით, პრივატიზებას, მოქალაქე თორნიკე ჩხეიძის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, შატერაშვილისა და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1604 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მომხსენებლის მითითებით, მოქალაქე თორნიკე ჩხეიძის წარმომადგენლის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, წარედგინა თხოვნა, მისი მარწმუნებლის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, შატერაშვილისა და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1604 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის თაობაზე, ამასთან, აღნიშნა, რომ თორნიკე ჩხეიძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული იყო თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისა და განაშენიანების დამტკიცებული გეგმის კორექტირებაზე და მიწის ნაკვეთს მიენიჭა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), შემდეგი სამშენებლო კოეფიციენტებით: K1-05; K2-2,1 K3-0,2 ხოლო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ საკადასტრო ერთეულს მიენიჭა სატყეო ზონა, რითაც, მესაკუთრეს, მისივე მითითებით, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეეზღუდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. ამასთან, თორნიკე ჩხეიძის მიერ ზემოაღნიშნული განცხადებით ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის მოთხოვნილ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს 1 104 კვ.მ. და 1 742 კვ.მ. მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა.

სოფიო დოლონამის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული 01.18.06.013.026 და 01.18.06.014.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზება 01.14.12.003.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ამასთან, გაცვლას დაქვემდებარებული მინის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება საჭიროა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) რეგლამენტით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხზე დადებითი პოზიცია გასცა ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 16 აგვისტოს დასკვნის თანახმად, თორნიკე ჩხეიძეს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების



საბაზრო ღირებულება, მასზე გენგეგმის დამტკიცებამდე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გათვალისწინებით, რის ფარგლებშიც, მიწის ნაკვეთს მინიჭებული ჰქონდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), შემდეგი სამშენებლო კოეფიციენტებით: K1- 0.5 K2- 2,1 K3-02. 2023 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 057 932 (ორი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, ხოლო, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.18.06.013.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 12 ივნისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 978 144 (ცხრაას სამოცდათვრამეტი ათას ასორმოცდაოთხი) ლარი, ხოლო 01.18.06.014.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 1 404 052 (ერთი მილიონ ოთხასოთხი ათას ორმოცდათორმეტი) ლარი.

მომხსენებელმა შემაჯამებლად მიუთითა, რომ ვინაიდან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება, 324 264 (სამას ოცდაოთხი ათას ორას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით აღემატება თორნიკე ჩხეიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისად მზაობას გამოთქვამს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 324 270 (სამას ოცდაოთხი ათას ორას სამოცდაათი) ლარის გადახდა, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 100 (ასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, შპს „Portal“-ის საკუთრებაში, ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის მიმდებარედ არსებული 673 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, სათანადო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.



მომხსენებლის მითითებით, კომპანიის წარმომდგენელმა ზემოაღნიშნულ დონისძიებასთან დაკავშირებით, თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და განმარტა, რომ ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის მიმდებარედ არსებული 673 კვ.მ მიწის ნაკვეთი კომპანიამ შეიძინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წლის 16 ოქტომბერს ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონზე, სრული საპრივატიზებო საფასურით 480 522 (ოთხას ოთხმოცი ათას ხუთას ოცდაორი) ლარის ოდენობით, საპრივატიზებო პირობით: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მხოლოდ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის შემთხვევაში“, რის გათვალისწინებითაც, კომპანიამ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოპოვების მიზნით, მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ხოლო, ვინაიდან მიწის ნაკვეთს კვეთდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, მოთხოვნილ იქნა მკვ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“-ის პოზიცია.

სოფიო დოდონაძემ განაგრძო თხოვნა და აღნიშნა, რომ მკვ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ 2021 წლის 30 მარტის წერილის შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის და წყალარინების ქსელები და წყალარინების 2300X1900 მმ-იანი მთავარი გამყვანი კოლექტორი, რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები. ამავე წერილის შესაბამისად, აღნიშნული წყალარინების მთავარი გამყვანი კოლექტორის გადატანა ტექნიკურად შეუძლებელია. ამასთან, წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, რითაც, მესაკუთრეს, მისივე განმარტებით, შეეზღუდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

მომხსენებლის მითითებით, ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის, მიემართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხოლო ამ უკანასკნელის 2023 წლის 2 მარტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მკვ Portal-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, მასზე სამშენებლო განვითარებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის გათვალისწინებით, 2023 წლის 2 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 576 761 (ხუთას სამოცდათექვსმეტი ათას შვიდას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით, ამასთან, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილში მდებარე 397 კვ.მ და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთები, ამასთან, კომპანიამ ითხოვა გაცვლის ფორმით განკარგვისას საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მის მიერ აუქციონში გადახდილ სრულ საპრივატიზებო საფასურსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, გაცვლას დაქვემდებარებულ უძრავი ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 30 აგვისტოს N16-01232422996 წერილის შესაბამისად,



ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვა მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად და სანაცვლოდ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება, რაც შეეხება დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ მე-2 საკადასტრო ერთეულის განკარგვას, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია მისი განკარგვა/გაცვლა მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით;

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 61 (სამოცდაერთი) ლარის ოდენობით აღემატება შპს Portal-ის (ს/ნ:404989241) მიერ 2019 წლის 16 ოქტომბერს ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონის საფუძველზე გადახდილ სრულ საპრივატიზებო საფასურს, რასთან დაკავშირებითაც, მესაკუთრემ მზაობა გამოთქვა განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 100 (ასი) ლარის გადახდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ვინაიდან, უძრავ ქონებაზე კომპანიას შეეზღუდა სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა და ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობა მაღალი ალბათობით საფრთხის შემცველია, უსაფრთხოების ნორმებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკურ-სტილისტური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა N141, მე-4 სართული, 36.04 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, 2004 წლიდან მცხოვრები მოქალაქე შორენა აბრალავასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებული პირის მიერ, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია, ნოტარიულად დამოწმებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა



„ფერმწერთა - 2020“ ოქმი და გამგეობის წერილობითი დოკუმენტი, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით შორენა აბრალავასა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, ხოლო, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში შორენა აბრალავა და მისი ოჯახის წევრები არ არიან რეგისტრირებულნი, ამდენად, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე, გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17, პირველი სართული, 69.83 კვ.მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზების გზით, მოქალაქე ტარიელ შაინიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, დასძინა, რომ დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 2009 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია და სანოტარო წესით დამოწმებული, მოქალაქეთა თანხმობა, ხოლო, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ტარიელ შაინიძის სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს აგრეთვე გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5 მდებარე უძრავი ქონების საერთო ჯამში - 97.84 კვ.მ უძრავი ქონების ოდენობით, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის: ალექსანდრე ჩხაიძე, ანა ყაველაშვილი და ნინა კობაიძე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებულ პირთა მიერ, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია, ამასთან, ამხანაგობის, სანოტარო წესით დამოწმებული კრების ოქმითა და გამგეობის მიერ შედგენილი დოკუმენტით დასტურდება დაინტერესებულ პირთა 2012 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ხოლო, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ კი, ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი პუნქტის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N115-ში მდებარე უძრავი ქონების, საერთო ჯამში გადაეცემათ 65.2 კვ.მ უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირებისათვის: იზოლდა აკობია, ბაზო ბახტურიძე და ანდრო მაჭავარიანი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში 1977-2000 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა



სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია, ისნის რაიონის გამგეობის დათვალიერების ოქმები და მეზობლების, სანოტარო წესით დამოწმებული, თანხმობა, ამასთან, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პირები დევნილად რეგისტრირებული არ არიან, ხოლო, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ელდარის ქუჩა N12, კორპუსი N1, პირველი სართული, 81.32 კვ.მ. ფართის ბინა N14-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე დარეჯან ჯიქიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითა და სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, დაინტერესებული პირი მისამართზე 12 წელია ცხოვრობს, ხოლო, სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, მოქალაქეები ადასტურებენ, დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 2009 წლიდან ცხოვრების ფაქტს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით კი, დარეჯან ჯიქიძისა და მისი ოჯახის წევრებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, მათ, შორის, შემდეგი სპრივატიზებო პირობით:

▪ ქონების შემძენი იღებს ვალდებულებას ხელი არ შეუშალოს, არსებულ უძრავ ქონებაზე შესაძლო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას, რომლის მიზანს წარმოადგენს ავარიული სახლის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



22. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში, მესამე სართულზე, არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე მარიამ ზაალიშვილისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 11 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია, 2010 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ ასევე მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთიან ელექტრონულ ბაზაში, მარიამ ზაალიშვილი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან, ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მარიამ ზაალიშვილისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 23-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირზე, კორპუსი N36-ის მიმდებარედ, მეორე სართულზე, 49.70 კვ.მ ფართის ბინა N4-ის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე ნინო მამუკაშვილისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაცია ადასტურებს დაინტერესებული პირის ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, ხოლო, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, მოქალაქეები ადასტურებენ დაინტერესებული პირის მიერ, 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრების ფაქტს, ასევე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნინო მამუკაშვილის სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ



მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 24-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10-ში, პირველ სართულზე მდებარე 34.08 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გოგა მაგოვეისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითა და ფიზიკური პირების, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, გოგა მაგოვეი 2004 წლიდან სარგებლობს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართით, ხოლო, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტების, მიხედვით გოგა მაგოვეი 2000 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 25-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში მდებარე 25.64 კვ.მ. უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ტალახაძისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს



ინფორმაციით, გიორგი ტალახაძე 22 წელია ცხოვრობს მისამართზე, ამასთან, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, მეზობლები ადასტურებენ, გიორგი ტალახაძის 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, გიორგი ტალახაძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 26-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში მდებარე უძრავი ქონების, ნოდარ ეფრემიძისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითა და სანოტარო წესით დამოწმებული, მეზობლების თანხმობით, ნოდარ ეფრემიძე 2005-2006 წლებიდან ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, ნოდარ ეფრემიძესა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ყოველივე აღნიშნულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 27-ე



საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში, მეორე სართულზე არსებული 53.98 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ირინა ზარქუასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ასევე, ნოტარიულად დამოწმებული აქტის თანახმად მოქალაქეთა მიერ დასტურდება ირინა ზარქუას მიერ ოჯახთან ერთად მისამართზე 2008 წლიდან ცხოვრების ფაქტი, აგრეთვე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ირინა ზარქუა დევნილად რეგისტრირებული არ არის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აღნიშნული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ყოველივე აღნიშნულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენელ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 28-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში 75 კვ.მ. და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N78-ში მდებარე 75 კვ.მ. მოქალაქეებისათვის: ნინო ადუაშვილი და ნონა ფიცხელაური, პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, სათანადო ხელშეკრულების პროექტის საპრივატიზებო პირობების შესრულების სანაცვლოდ, მათ, შორის, აღნიშნული მოქალაქეები, თმობენ საკუთრების უფლებას მათ საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, პირველ კვარტალში, მდებარე ფართებზე, ასევე, ვალდებულნი იქნებიან მუნიციპალიტეტს ქონება გადასცენ უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ფართები ფაქტობრივად გამოათავისუფლონ და გადასცენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ ვადაში.



მომხსენებელმა განმარტა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეები ასევე ვალდებული არიან, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ფართებზე უზრუნველყონ რეგისტრირებული იპოთეკის მოხსნა და აღნიშნული ასახონ სსიპ - საჯარო რეესტრის ამონაწერში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, საკუთრების მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალოს, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირებისათვის გადაცემი ფართების რემონტის მიზნით მუნიციპალიტეტის 2022-2023 ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გასცეს რემონტის ხარჯი - 1 კვ.მ. ზე - 286 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების, განკარგულების პროექტით განსაზღვრულ ქონებაზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ არაუგვიანეს 3(სამი) თვის ვადაში, სათანადო საბანკო ანგარიშზე, მომხსენებელმა კომისიის წევრებს ასევე განუმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიის მიერ სამგორის რაიონის გამგეობას, 2022 წლის 7 სექტემბრის კორექტდენციით ეცნობა, რომ ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ მიერ წარსულში სამჯერ განხორციელდა ვარკეთილის III მასივი, I კვ., კორპ. N1 შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური გამოკვლევა და ტექნიკური მდგომარეობა, ავარიულობის თვალსაზრისით, შეესაბამებოდა დაზიანების IV ხარისხს, ხოლო სათანადო დასკვნა გადაეგზავნა ქ. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს, ამასთან, III სადარბაზოში, უკანა ფასადზე არსებული 4-სართულიანი მიშენების II სართულის შემომფარგლავი კედლები ნაწილობრივ დაზიანებულია და მისი დარჩენილი ნაწილი იმყოფება ძლიერ არამდგრად, ჩამოშლასაშიშ მდგომარეობაში, ასევე, ამ მხრივ ასევე დაზიანებული II სადარბაზო, ხოლო, ტექნიკური მდგომარეობა უწინდელთან შედარებით ძლიერ გაუარესებულია და მცირე სიმძლავრის მიწისძვრის, ან დაზიანებათა გამოძვევი მიზეზების შემდგომი ზემოქმედების შემთხვევაში, ასევე ატმოსფერული გავლენების (წვიმა, ქარი) შედეგადაც, მოსალოდნელია შენობის ამ ნაწილების უცარი ნგრევა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შენობის I და III სადარბაზოების არაპროგნოზირებადი მასშტაბის დაზიანებები, ან ნგრევა, თანმხლები, გაუთვალისწინებელი შედეგებით, ამდენად, აღნიშნული უწყების დასკვნით, საჭიროდ იყო მიჩნეული: დაუყოვნებლივ მიღებულიყო გადაწყვეტილება შენობის დემონტაჟის სრულად ან ნაწილობრივ, თაობაზე, მოქმედი ნორმების დაცვით.

სოფიო დოლონაძემ განმარტა, რომ ქ.თბილისი, ვარკეთილის 3 მასივი 1 კვ. N 1 კორპუსი - 2019 წელს საცხოვრებლად უვარგისად იყო ცნობილი რაც ასევე დადასტურებულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის ლაბორატორიის დასკვნა საფუძველზე, შესაბამისად, შენობის მძიმე ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ადგილობრივი გამგეობის ორგანიზებით განხორციელდა მოზინადრეების გამოსახლება (ევაკუაცია), დღეის მდგომარეობით 36 ოჯახიდან 18 ოჯახი არის გადაყვანილი ქირით და ადგილობრივი გამგეობის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად 11930 ლარი - 2019 წლიდან დღემდე 205330 ლარამდე არის გამოყოფილი ქირის საკომპენსაციო თანხის დასაფარად. აქედან 4 ბინის მესაკუთრე უარს აცხადებდა გამოსახლებაზე და ითხოვდნენ ახალი ბინებით დაკმაყოფილებას. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში გარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, მოხდება თანხების ოპტიმიზაცია, და არსებული ფინანსური რესურსი მიემართება სხვა სოციალური პროექტების განხორციელებისთვის.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი და ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, თანხმობის გაცემის შემთხვევაში, განხორციელდება ავარიული საცხოვრებელი ფართების მქონე პირთა დაკმაყოფილება ფართებითა და, მათთვის, უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოებისთვის ხარჯების ასანაზღაურებლად, 1 კვ.მ-ზე 286 ლარის ოდენობით გადაცემით.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოღონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 28-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მოქალაქე ფაცია ერისთავის მემკვიდრე - ზურაბ გელაშვილისათვის და ანგელინა კეკელიძის მემკვიდრე - თამარ კეკელიძისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მშენებარე ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა N42, სართული 13, ბინა N326, 66.20 კვ.მ. და ქალაქი თბილისი, სუბიშვილის ქუჩა N7, სართული 8, ბინა N45, 33.40 კვ.მ., პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზებას, იმ საპრივატიზებო პირობებით, რომ სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, აღნიშნული მოქალაქეები, უარს იტყვიან მოთხოვნის უფლებაზე უფლების დამდგენი დოკუმენტების საფუძველზე, შესაბამის უძრავ ქონებასთან მიმართებით, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, მათთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართებთან დაკავშირებული საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ დაუთმოვენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ;

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები გარემოებების თაობაზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ასევე რაიონული გამგეობების მიერ, სხვადასხვა წლებში მიღებულ იქნა უფლების დამდგენი დოკუმენტები, ფიზიკურ პირებს გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, მე-2 მ/რ-ში მდებარე, კორპუსი N33 და კორპუსი N37 აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა, უფლების დამდგენი დოკუმენტის მიღებისთანავე ვერ მოხერხდა, შესაბამისი პირებისათვის, ფართების საკუთრებაში გადაცემა, ე.წ „წითელი აგურების კორპუსის“ მშენებარე მდგომარეობიდან გამომდინარე, ხოლო, მშენებლობის დასრულების შემდგომ, ფართებში შეიჭრნენ სხვა ფიზიკური პირები და მოახდინეს ფართების დემონტაჟი/ანდა სხვა ფართებთან გაერთიანება. უფლების დამდგენი დოკუმენტების მქონე პირებმა ვერ შეძლეს სათანადო



ფართების დაკავება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო, აღნიშნული მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაევალა შემდეგი:

▪ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი -3-ის დასახლება, მე-2 მ/რ-ში მდებარე კორპუსი N33, კორპუსი N34, კორპუსი N35, კორპუსი N36 და კორპუსი N37 თან დაკავშირებით გამოცემული, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების მქონე პირებს შესთავაზოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების კანონით დადგენილი ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება, თუ აღნიშნული პირები გასცემდნენ თანხმობას ზემომითითებულ პირობებზე.

მომხსენებელმა თხოვრა განაგრძო და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული დონისძიების უზრუნველსაყოფად, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მოქალაქეებს: ზურაბ გელაშვილს და თამარ კეკელიძეს, რომლებსაც გააჩნიათ, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები, დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, მშენებარე საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად გადაეცემათ სათანადო საპრივატიზებო პირობებით. ამასთან, ქონების შემძენებისათვის ცნობილია, რომ მისაღები უძრავი ქონება არის მშენებარე მდგომარეობაში და მასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ერთ-ერთ კომპანიას შორის გაფორმებულია „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება“, რითაც განსაზღვრულია უძრავი ქონების მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტისთვის ფაქტობრივად გადაცემის პირობები, აღნიშნულ ხელშეკრულებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება ქონების შემძენი და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები. ამასთანავე, მხარეები განაცხადებენ და დაადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი და მდგომარეობა შეთანხმებული იქნება მათ შორის და არ იქნება სადავო.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოღონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 30-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ



ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით, სათანადო ღონისძიებების განხორციელებას, აქვე ისაუბრა, საკითხთან დაკავშირული, წინარე სამართლებრივი ღონისძიებების თაობაზე:

- ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებს და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტს“ პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცათ, ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, ამასთან, აღნიშნულ პირებსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებულ იქნა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება, რის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, ამასთან, აღნიშნული კოოპერატიული პროექტის ფარგლებში, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდნენ N633 კოოპერატივის წევრები, თუმცა N633 კოოპერატივის წევრთა ნაწილს (9 პირი - ზაზა მახვილამე, ჟანა პოლოსიანი, იური ბასილია, დავით ზაკალაშვილი, ელენე სარჯველაძე, ნანა ჯანაშვილი, მერი ბულიაშვილი, იაკობ გამეზარდაშვილი, ნონა გრიგორიანი) პროექტის განხორციელების ეტაპზე სააგენტოში არ ჰქონდა წარმოდგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილების თაობაზე. შესაბამისად, ვინაიდან, მათ წინაშე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბინაო ვალის არსებობის ფაქტი აღიარებულია, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პირების მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართის (598.971 კვ.მ), სამომავლო საკუთრებაში მიმღებად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

სოფიო დოლონაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ პროექტის განხორციელების ეტაპზე იდენტიფიცირებულ 2 (ორი) პირს: ვაჟა ფოლადიშვილს და მარინე კვარაცხელიას, სააგენტოში არ წარუდგენიათ პროექტში დაკმაყოფილების თაობაზე შესაბამისი თანხმობა, რის გამოც, მათთვის გათვალისწინებული ფართზე (129.086 კვ.მ) სამომავლო საკუთრებაში მიმღებად განისაზღვრა მუნიციპალიტეტი, ამასთან, სააგენტოს მიერ კომპანიას ეცნობა პროექტის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის/სააგენტოსთვის გადმოსაცემი უძრავი ქონებიდან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინის ფართობი განესაზღვრა 35.794 კვ. მ და 63.825 კვ. მეტრის ოდენობით (რადგანაც იდენტიფიცირებულ იქნა ორი პირი: ვაჟა ფოლადიშვილი და მარინე კვარაცხელია, რომელთაც გამოხატეს ნება და განაცხადეს თანხმობა ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების თაობაზე), ხოლო დარჩენილი ჯამური ფართიდან - 628.438 კვ. მ - საცხოვრებელი ბინების ფართობები განესაზღვრა 50-დან 70-მდე კვადრატული მეტრის ოდენობით, კომპანიის შეხედულებისამებრ, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და შესაბამისი არქიტექტურული პროექტის გათვალისწინებით.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ფართებზე ფართებზე მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზანი იყო, სამშენებლო პროექტის დასრულებამდე შესაბამის პირთა იდენტიფიცირება და მათი იდენტიფიცირების



შემთხვევაში, მათთვის კუთვნილი ფართებზე საკუთრების უფლების გადაცემა, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტით სამომავლო საკუთრების უფლება გადაეცემათ N633 კოოპერატივის იმ პირებს, რომელთაც მონაცემები იდენტიფიცირებულ იქნა სააგენტოს მიერ და წარმოადგინეს შესაბამისი თანხმობა მითითებულ პროექტიდან მათთვის შეთავაზებულ შესაბამის ფართებზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ, სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადებები, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „ენსი დეველოპმენტს“ (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“) და კოოპერატივის წევრებს შორის, 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებას და ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს, ამასთან, ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15 -ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული, 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან 115.15 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების და ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ფართზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამომავლო საკუთრების უფლების გადმოცემის შემთხვევაში, აცხადებენ თანხმობას და ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები, ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, მუნიციპალიტეტთან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება ზემოთ მითითებული პირობები, შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება, შესაბამისად, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებლად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, მდებარე უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების, განსაზღვრულ პირთათვის (6 (ექვსი) პირისათვის) სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება, შესაბამისი შეთანხმების პირობების შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოდონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 31-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,



დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირის მიმდებარედ არსებული 4061 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან, 10 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გიორგი ახალშენიშვილისთვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვაზე, იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 2400 ლარით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ გიორგი ახალშენიშვილი, საკუთრების უფლების საფუძველზე, ფლობს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 49/გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა № 2-ში მდებარე უძრავ ქონებას, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გიორგი ახალშენიშვილისთვის, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 32-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებელი, № 16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან, 22 კვ.მ.მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის



ფორმით ნოდარ ლეზანიძისთვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად გადაცემას, ამასთან, განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა საკითხს, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით, 22 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 5280 ლარით;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ნოდარ ლეზანიძე, თანასაკუთრების უფლების საფუძველზე, ფლობს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებელი, № 18-20-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა დ გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი, № 16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან 22 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ნოდარ ლეზანიძისთვის, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 5280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 33-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 26კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზაფრან 95“-ისთვის, იჯარის ფორმით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხზე, ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, განმარტა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გასცა დადებითი გადაწყვეტილება, ასევე, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა და ღია კაფის განთავსებისას დაცული და გათვალისწინებული იქნება ხსენებული სამსახურის წერილში მითითებული მოთხოვნები. განცხადებით ასევე მისაღებად იქნა მიჩნეული წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დსკვნით, დაინტერესებაში არსებული 26კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 6240 (ექვსი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N34-ში მდებარე ფართს სათანადო ვადით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ზაფრან 95“-ისთვის, 2026 წლის 1 აპრილამდე ვადით, საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 6 240 (ექვსი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, წესრიგის, რიგით - 33-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, № 27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან, 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აგრო ინვესტისთვის“, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვაზე იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო



სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით, მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 2400 ლარით;

მომხსენებელმა დასძინა, რომ შპს „აგრო ინვესტი“, თანასაკუთრების უფლების საფუძველზე, ფლობს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, № 27-ში არსებულ უძრავ ქონებას, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აგრო ინვესტიისთვის“, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 35-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტიისთვის“ იჯარის ფორმით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, გადაცემის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა თავდაპირველად მოთხოვნილ 38 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, შემდეგი რეკომენდაციით: სასურველია მოიხსნას არსებული შინდისფერი საჩრდილოებელი და მოეწყოს ქოლგები, სავალი ნაწილის შენარჩუნების მიზნით ფასადიდან დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 2.5 მეტრს, ამასთან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რითაც, სამსახური ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.



მომხსენებელმა განაგრძო თხოვნა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, განმცხადებელს ეცნობა აღნიშნული ორგანოების პოზიცია და რეკომენდაცია, კომპანიის წარმომადგენელმა დამატებით მიმართა სააგენტოს განცხადებით და ითხოვა შემცირებული 21 კვ.მ. ფართობის გადაცემა და განცხადებაში აღინიშნა, რომ გათვალისწინებულია სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიცია და სკამები, მაგიდების და ქოლგის განთავსდება არ სცდება 2.5 მეტრს ფასადიდან და საფეხმავლო სივრცე შენარჩუნებულია 5 მეტრით.

სოფიო დოლონაძემ დასძინა, რომ მოთხოვნილ 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფეს განთავსებისთვის მოთხოვნილი 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 5040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმჯელა და გადაწყვიტა, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების შპს „აგრო ინვესტიკების“ იჯარით, 5 წლის ვადით, საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით, გაადგემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომადგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 36-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ნანა ფეტელავასთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ განმცხადებლის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N18-20-ში მდებარე უძრავი ქონებები, ამასთან, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით. დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, ხოლო, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და



ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ნანა ფეტელავამ, დამატებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ფასადიდან საიჯარო ფართის არეალი არ გასცდება 2.50 მეტრს და მაგიდები და სკამები განთავსდება შენობის ფასადიდან 2.5 მეტრის არეალში, ხოლო საფეხმავლო სივრცედ რჩება 5 მეტრი, ამასთან, დაამატა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის, წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 640 (ორიათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნანა ფეტელავასთვის იჯარის ფორმით, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 2 640 (ორიათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის, ღია კაფეს ფუნქციონირების მიზნით ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოღონაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 37-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის თხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ნინო მაღლაფერიძისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, დასძინა, რომ განმცხადებლის საკუთრებაშია ქ. თბილისში, სანაპირო, ახალგაზრდობის ბაღში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო, განცხადებით მოთხოვნილი უძრავი ქონება ნინო მაღლაფერიძეს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა 2023 წლის 21 აგვისტოს.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მისცა დადებითი შეფასება, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური წინააღმდეგი არ არის 94 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის, წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 33 840 (ოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.



მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნიწო მალაფერიძისთვის იჯარის ფორმით, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 33 840 (ოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით, 5 (ხუთი) წლის ვადით, არგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის, მსუბუქი კონსტრუქციით განსაზღვრული ღია კაფეს ფუნქციონირების მიზნით საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ სოფიო დოლონაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 38-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ითვალისწინებს, შემდეგი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის IV მ/-ში, მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International“ -ის ფილიალი საქართველოში“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა;
- გაფორმებული იჯარის ვადის გასვლის დღიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების და ამ განკარგულების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის თქმა;

როგორც მომხსენებელმა განმარტა, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის - „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში“ წარმომადგენელმა, განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მ/რ-ში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის იჯარით განმეორებით იჯარით გადაცემა, 10 წლის ვადით, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის და კრიზისული ინტერვენციის მომსახურების განხორციელების მიზნით, ამასთან, აღნიშნული ფართი იჯარით იყო გადაცემული ამავე ორგანიზაციაზე, წლიური საიჯარო ქირის საფასურად განსაზღვრული იყო 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ სამსახურს არ გააჩნია წინააღმდეგობრივი პოზიცია ფართის ორგანიზაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში



არსებული 286.78 კვ.მ. ფართის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, განისაზღვრა - 44736 ლარის ოდენობით, რაც ეცნობა ორგანიზაციას, სააგენტოს წერილით, ხოლო, ორგანიზაციის წარმომადგენელმა, განმეორებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა აღნიშნული ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, ასევე, განმარტა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ორგანიზაციას ფართში გახსნილი აქვს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა თავშესაფარი და დღის ცენტრი, სადაც ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს მათზე და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე.

სოფიო დოლონაძის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა World Vision"- ის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ თავდაპირველი იჯარის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა მ/წლის მარტში და ვინაიდან ყველაზე მოწყვლად ბავშვებს (მიუსაფარ ბენეფიციარებს) ვერ დატოვებდნენ მომსახურების მიღმა, აღნიშნული შენობა არ დაუტოვებიათ. შესაბამისად, წარმომადგენელმა ითხოვა 2023 წლის მარტის თვიდან დღემდე გადასახდელი საფასურის პატიება, ხოლო, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადებულ იქნა პროექტი, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილი ფართი ორგანიზაციას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა, 2 (ორი) წლის ვადით და მთავრობას მიეცემა თანხმობა უარი თქვას უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულას მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 39-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებს, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე 1 047 კვ.მ; 2 753 კვ.მ; და 637 კვ.მ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დასძინა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებმა მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საწინააღმდეგოდ (კ-2=3.5),



გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სამშენებლოდ გამოყენების დადგენილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით, ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $კ-2=2.5$ -დან $კ-2=3.5$ -მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნებით საპროექტო საკადასტრო ერთეულების საბაზრო ღირებულება 2023 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 122 576, 682 981 და 2 646 805 ლარს.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობის სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით განსაზღვრა, ხოლო, - ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება $კ-2=2.5$ დან $კ-2=3.5$ მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,792,944.80 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი და ოთხმოცი მესამედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდეზე; დაინტერესებულმა პირმა თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.



აზრი გამოთქმეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-40 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებს, - ქალაქ თბილისი, დასახლება დიდი დილომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით დაინტერესებულმა პირმა ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დილომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.7), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, აქვე დასძინა, რომ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N377 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.7-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

როგორც ნინო ბაგაშვილმა მიუთითა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 5 394 048 ლარს, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ამასთან, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული



შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვრა სათანადო ფორმულითა და საანგარიშო პრინციპით, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება $კ-2=3.5$ დან $კ-2=4.7$ მდე;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,849,387.89 (ერთი მილიონ რვას ორმოცდაცხრა ათას სამას ოთხმოცდამედი და ოთხმოცდაცხრა მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე. აღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ზაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით - მე-41 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშემწყობის მიზნით, ითვალისწინებს,



მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 3 252 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, მიუთითა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ქალაქ თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.7), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებლის მითითებით, საკადასტრო ერთეულზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საპროექტო საკადასტრო ერთეულზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც, საკადასტრო ერთეულზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრულია კ-2=3.3, ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.3-დან კ-2=3.7-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 17 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 575 000 ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ასევე, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენილ იქნა - კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე 3 252 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაზღვრის თაობაზე საკითხის:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=3.3 დან კ-2=3.7 მდე;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;



▪ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 554,545.45 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ორმოცდახუთი და ორმოცდახუთი მესამედი) ლარის გადარიცხვა უნდა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ამასთან, აღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი

თამთა კაკოიშვილი